ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№14
(გაერთიანებული, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, გარემოს დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 16 თებერვალი, 2018 წ. 10:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი - თემურ ბოლოთაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი - **გიგა გიგაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი - **მამუკა მუმლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მერაბ მამულაშვილი**

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები - **თამარ გურჩიანი/ გვანცა ნიკოლაიშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,მწვანე ქალაქის" დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობისმარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის ზრდა ძირითადად გამოიწვია ევროკავშირის გრანტის მოპოვებამ. მისი თქმით, გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში ჩარიცხული თანხა შეადგენს 576,7 ათას ლარს.

ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 35 254,6 ათასი ლარით და შეადგენს 896 863,6 ათას ლარს.

მომხსენებელმა ასევე, აღნიშნა, რომ მ/წლის პირველ თვეში მხოლოდ სატენდერო ეკონომიამ გადააჭარბა 5 მილიონ ლარს და აღნიშნული თანხის გადანაწილებაც გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ხსენებული თანხები ძირითადად მოხმარდება ახალი ავტობუსების შეძენას და გადანაწილდება საშტატო ცვლილებების გათვალისწინებით.

ბატონმა გაიოზმა დასძინა, რომ პროექტის წარმოდგენისას ტექნიკური ხასიათის შეცდომაა დაშვებული საშტატო ცხრილში და აღნიშნულს გამოასწორებენ.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში შემოსულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან წერილობითი რეკომენდაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ბატონმა **სერგო ბირკაძემ** აღნიშნა, რომ ვინაიდან, ხსენებული ბიუჯეტი მოქმედებდა კონკრეტული წლის ფარგლებში, იგი ავტომატურად ძალადაკარგულია. შესაბამისად, მისი თქმით, არ არსებობს წინა წლის ბიუჯეტის ძალადაკარგულად გამოცხადების საჭიროება.

ბატონი სერგო ბირკაძის მოსაზრებას დაეთანხმნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ბატონი **გიორგი ტყემალაძე** და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი, („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი).

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, დადგენილების პირველ მუხლში, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მიეთითოს N6-8 დადგენილების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე განთავსების თარიღი და სარეგისტრაციო კოდი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს არქიტექტურის სამსახურებისათვის ელექტრონულ საქმისწარმოებას.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-51 დადგენილებაში **და** დადგენილებას ემატება 1^1 პუნქტი, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფამდე 2018 წლის 22 თებერვლიდან, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ელექტრონულ საქმისწარმოებასა და მომსახურებას განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებით დადგენილი წესის შესაბამისად.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია **საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ემსახურება ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა - **გვანცა ნიკოლაიშვილმა** განმარტა, რომ განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი და წინაპირობა საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად ასევე ხდება მწვანე ინფრასტრუქტურა. მისი თქმით, წარმოდგენილი ცვლილების მიზანი განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილ ურბანულ გადაწყვეტაში ეკოლოგიური საჭიროების გათვალისწინება - მწვანე ნარგავებით გასაშენებელი ტერიტორიის გამოყოფის ვალდებულებაა. ხოლო, გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20% მწვანე ნარგავების გასაშენებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რაც შეეხება განაშენიანებულ ტერიტორიას, ამგვარ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმით მწვანე ნარგავების გაშენების გათვალისწინება დამოკიდებული იქნება წინასაპროექტო კვლევაზე.

ქალბატონმა გვანცამ აღნიშნა, რომ წინასაპროექტო კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის პირველი ეტაპის - გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის აუცილებელი დოკუმენტია და გეგმარებითი გადაწყვეტისათვის ყველა აუცილებელ საკვლევ მონაცემს მოიცავს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებებით ასევე სავალდებულო ხდება წინასაპროექტო კვლევაში მწვანე ნარგავების დეტალური აღწერისა და მათ ხარისხობრივი შეფასების ასახვა. მასთანავე, გეგმარებითი დავალების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის თემატური ნაწილი ასევე უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას - გამწვანების პროექტის ჩათვლით.

ქალბატონმა გვანცა ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში გათვალისწინებულია სავალდებულო სამსახურად გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა, რომლის დარგობრივი დასკვნის გათვალისწინება ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებისათვის სავალდებულო ხდება. ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული გაუნაშენენიანებელი ტერიტორიის განვითარება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით, ხოლო ამგვარი უზრუნველყოფის დადასტურება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვით განხორციელდება. ხოლო, სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულო ხდება ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის

გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში და კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისა და გამოყენების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებზე დაშვებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სივრცით მოცულობითი თვალსაზრისით კოეფიციენტის გადამეტების მიზანშეწონილობის შეფასებას, არამედ სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებითაც, რაც მდგრადი ურბანული განვითარების წინაპირობაა.

მისი თქმით, სატრანსპორტო და გამწვანების საკითხები ურბანულ პოლიტიკასთან ინტეგრირდება და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების ეტაპზე ურბანულ დაგეგმარებაზე, გარემოს დაცვასა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობენ შესაბამისი დასკვნების წარდგენის გზით, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა. ხოლო, ქალაქის ურბანული საკითხების გადაწყვეტა ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით ხორციელდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წინასაპროექტო კვლევის მონაცემებისა და წინასაპროექტო კვლევის არეალის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განსაზღვრა, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, რასაც წარმოდგენილი ცვლილებები ემსახურება.

არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულებით“ გათვალისწინებული ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფლებამოსილებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის რიგ ნორმებში ნაცვლად მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოსა, მიეთითა ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

მისი თქმით, ასევე, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი ცვლილებით ზუსტდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დეფინიცია და მუნიციპალიტეტის/სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, ამგვარ ფუნქციურ ზონაში განთავსებულ უძრავ ნივთზე დასაშვებად იქნება მიჩნეული **ავტოსადგომების განთავსება/დაგეგმვა.**

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განაშენიანების რეგულირების გეგმის 5 წლიან ვადასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული ვადის ჩანაწერის ამოღება.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა **თამარ გურჩიანმა** სპეციალურ ზონალურ შეთანხმებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქამდე არსებული პრაქტიკა იცვლება, როცა განცხადება უნდა წარდგენილიყო ჯერ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ხოლო, შემდეგ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ მოთხოვნა უნდა გაკეთებული. ქალბატონი გვანცას თქმით, ვინაიდან, სამსახური ერთიან პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადავა და

სტრუქტურულადაც სამსახურები ერთმანეთს დაუკავშირდებიან, იმოქმედებენ „ერთი საქმის პრინციპით“. ამრიგად, მისი თქმით, მეორე ნაწილის აუცილებლობა აღარ დგას და განცხადების მხოლოდ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში წარდგენა საკმარისი ხდება.

ბატონმა გიორგი ტყემალაძემ კითხვა დასვა და დაინტერესდა სატრანსპორტო ზონა 1-ში რამ გამოიწვია არსებული დაშვება.

ქალბატონმა თამარ გურჩიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების გარეშე შესაბამისი სამსახური ვერ ახერხებდა ზოგიერთ ადგილზე ზონალური ცვლილების გარეშე დაეხაზა პარკირებისთვის გამოყოფილი ადგილები. ხოლო, წარმოდგენილი ცვლილებებით, სატრანსპორტო ზონა 1-ში ხდება ავტოსადგომების გამოყოფა და განცალკევება, რაც სამსახურს მისცემს საშუალებას შპს "სი-ტი პარკ"-ს დაავალოს შესაბამის ადგილებზე მოხაზვის გაკეთება. მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილების მიზეზი მხოლოდ ავტოსადგომების გამოყოფის უზრუნველყოფაა და აღნიშნული არ გამოიწვევს სხვა რაიმე სახის ცვლილებას.

თამარ გურჩიანმა ასევე, განაცხადა, რომ სატრანსპორტო ზონა 1-ში შემოთავაზებულ დაშვებასთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს რედაქციული ცვლილება და მიეთითოს, რომ ეს ეხება მხოლოდ სახელმწიფო ან ადილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებებზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს. აღნიშნულ ფორმულირებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

ასევე, ბატონი ლევან ჟორჟოლიანის თქმით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის **პირველი მუხლის მე-5 პუნქტი** უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 5. მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. შესაბამისი ფუნქციური ზონით დადგენილი კ-1 **ან/და** კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის გადამეტების შემთხვევაში, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე, თბილისის მერის გადაწყვეტილებით ცენტრალურ, შუალედურ ზონებში და გეგმარებით კარკასზე შესაძლებელია შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიების (მათ შორის შენობა-ნაგებობის ენერგოეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები) განსაზღვრა.“.

სხდომაზე, საკითხის წარმდგენმა ითხოვა, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის ამოღება და

შესაბამისად, მითითებულ მუხლში პუნქტების ნუმერაციის კორექტირება. ასევე, საკითხის წარმდგენმა ითხოვა, დადგენილების პროექტის მე-7 პუნქტით განსაზღვრული 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის ცვლილება და შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღების თაობაზე განცხადება უნდა წარედგინოს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით, რომლის ამოქმედების თარიღია 2018 წლის 22 თებერვალი, დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება", რომლის თანახმადაც სამსახურის ამოცანად განისაზღვრა თბილისის ტერიტორიაზე, აგლომერაციის გათვალისწინებით, მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვა, ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება. ხოლო, აღნიშნული ცვლილების ძალში შესვლის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ფუნქცია აღარ იქნება ქალაქ თბილისის ურბანული განვითარების პოლიტიკის შემუშავება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იცვლება სამსახურის სტრუქტურა, სამსახურის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები. სამსახურში დღეს არსებული 13 (ცამეტი) განყოფილების ნაცვლად, იქნება 8 (რვა) განყოფილება. ამასთან, ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრება, არქიტექტურული პროცესების მართვა -

დადგენილი წესით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა.

ბატონმა სერგომ დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 22 თებერვალი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებით დამტკიცებულ წესში მოხსენიებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ახალი სახელწოდებით ჩანაცვლებას, ვინაიდან, 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილების თანახმად, იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება და ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-66 დადგენილება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დადგენილებიდან ხდება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ამოღება, ვინაიდან, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების დადგენის დაჩქარებული მომსახურების საფასურის ამოღების ფუნქცია გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, აღნიშნა, რომ განკარგულების სათაური მითითებული იყო არასწორი რედაქციით. მისი თქმით, უნდა გასწორდეს დაშვებული შეცდომა და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაჩქარებული მომსახურების და ექსკლუზიური მომსახურების გაწევისა და მათზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლს უნდა ჩაემატოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი და მიეთითოს ნორმატიული აქტის სათაური სწორად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გიგა გიგაშვილმა** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ კომპანიის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახით) და მისი წილი კომპანიის კაპიტალში შეადგენს 100%-ს.

მომხსენებლის თქმით, კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა.

მომხსენებელმა ისაუბრა კომპანიის სტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ სამსახური შედგება ადმინისტრაციისგან, პარკების მოვლა-პატრონობის, ურბანულ ზონებში არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის, ჰიდრო სისტემების მოვლა პატრონობისა და სპეციალური და მოვლითი ჭრების სამსახურებისგან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქამდე, შპს „თბილსერვის“ ჯგუფში არსებული რამდენიმე განყოფილება თავისივე ფუნქციით გადავა ახალ კომპანიაში და ასევე ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში შემავალი, ურბანულ ზონებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობის ფუნქციაც გადაეცემა ხსენებულ შპს-ს.

კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე ბატონმა **სერგო ბირკაძემ** მოითხოვა წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გარკვეული ცვლილების შეტანა.

კერძოდ, ბატონმა სერგომ განმარტა, რომ სასურველია პროექტით წარმოდგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელწოდება - „მწვანე ქალაქი“ შეიცვალოს სახელწოდებით - „ეკო სერვის ჯგუფი“. მისი თქმით, ასევე დაზუსტება მოხდება შპს-ს მისამართის და იქნება სანაპიროს ქუჩა.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გიგა გიგაშვილმა** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წამოდგენილი დადგენილების პროექტით აღნიშნული წესის პირველ მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მწვანე ნარგავების დაცვაზე, მოვლასა და აღდგენაზე.“ ხოლო, „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს დაცვის, მათი აღდგენითი და შენარჩუნების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.“

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ სასურველია დადგენილების პროექტით წარმოდგენილ წესში, კერძოდ **პირველი მუხლის მე-4 პუნქტში,** კონკრეტულად გაიწეროს „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რა სახის ღონისძიების განხორციელებაზე არ გავრცელდება აღნიშნული წესი. შესაბამისად, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით: „4. ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს

„წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე).“.

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით აღნიშნული **წესის მე-2 მუხლს უნდა დაემატოს 39-ე და მე-40 პუნქტები,** რომლებიც გულისხმობენ ტერმინთა განმარტებას :

„39. მწვანე ნარგავის ნარჩენი – მწვანე ნარგავების დამზადების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები.

40. ძირნაყარი მწვანე ნარგავი – მიწაზე დაყრილი წაქცეული ხმელი ხე, მოთხრილ - მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი. აგრეთვე მოჭრილი მერქანი, რომელზეც ხე - ტყის დამზადების შესაბამისი დოკუმენტი არ არის გაცემული ან გასული აქვს გამოზიდვის ვადა.“

ბატონმა ლევან ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან მოქმედი **წესის მე-2 მუხლის მე-15 და მე-20 პუნქტები** დადგენილების პროექტით **წარმოდგენილი წესის მე-2 მუხლის 39-ე და მე-40 პუნქტების** ანალოგიურია და მოიცავს ტერმინთა იდენტურ განმარტებას, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტიდან ამოღებული იქნას მითითებული პუნქტები და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს ამავე წესის მე-2 მუხლის მე-15 და მე-20 პუნქტებში.

ბატონმა ლევანმა ასევე დასძინა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-18 პუნქტში, სადაც უნდა გასწორდეს ანბანური დანომვრა. მისი თქმით, ასევე, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით,

43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-5 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება", რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს. აღნიშნულ ფუნქციას ზემოხსენებული დებულების დამტკიცებამდე ახორციელებდა შპს „თბილსერვის ჯგუფი".

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი პროექტით ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ნაცვლად 68-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის „ა" პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის მითითებას და ასევე, ბატონი ლევანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში უნდა მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის კონკრეტული პუნქტი, კერძოდ: პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი არის ტექნიკური ხასიათის და აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 16 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N10-5 დადგენილებით (ძალაში შედის 2018 წლის 22 თებერვალს) მიღებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“, რომლის თანახმად აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის წესების დარღვევაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეაგირების განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

ასევე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას გააჩნია ტექნიკური ხასიათის შენიშვნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან მიმართებით, კერძოდ, ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტის პირველსა და მე-2 მუხლს სიტყვიერად მიეთითოს **„მუხლი“** და ასევე, მოხდეს პირველ მუხლში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **მამუკა მუმლაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტულ თემას წარმოადგენს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების საკითხი. ბატონი მამუკას თქმით, დღეისთვის დედაქალაქში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად განიხილება M_2 კატეგორიის მარშრუტებზე ჩართული სატრანსპორტო საშუალებების გზის ყოველ მონაკვეთში მგზავრების ჩამოსმა-აყვანა, რითაც ბევრ შემთხვევაში არაა დაცული მოქალაქეების უსაფრთხოება, ხშირად არასწორი გაჩერებები უბიძგებს მგზავრებს დაარღვიონ საგზაო მოძრაობის წესები და საფრთხე შეექმნათ მათ სიცოცხლეს.

ბატონმა მამუკა მუმლაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ, დანართი ხდება დანართი №1. ამასთან ზემოაღნიშნულ დადგენილებას ემატება შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი: „1^1 დამტკიცდეს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დანართი №2-ის შესაბამისად ქუჩები და მათზე ავტობუსების (M2 კატეგორია) გაჩერებების ადგილები."

ბატონმა **მამუკა მუმლაძემ** აღნიშნა, რომ დანართი №2-ში განისაზღვრა ქუჩები და ავტობუსის გაჩერების ის მისამართები სადაც უნდა განხორციელდეს M_2 კატეგორიის მარშრუტებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება მგზავრობის სატრანსპორტო მომსახურების მიზნით.

მისი თქმით, აღნიშნული ქუჩებია: ვაჟა ფშაველას გამზირი; ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი; პეკინის ქუჩა; ჟიული შარტავას ქუჩა; მერაბ კოსტავას ქუჩა; ილია ჭავჭავაძის გამზირი; პეტრე მელიქიშვილის ქუჩა; მარშალ გელოვანის გამზირი; დავით აღმაშენებლის ხეივანი; დავით აღმაშენებლის გამზირი; ვახტანგ გორგასლის ქუჩა; ჯორჯ ბუშის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი. ხოლო, აღნიშნულ ქუჩებზე გათვალისწინებულია 239 გაჩერება.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების კონტროლს განახორციელებს ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური, თუმცა შემდგომ აღნიშნულ საკითხს ადმინისტრირებას გაუწევს საპატრულო სამსახურიც.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი**, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ტექნიკური ხასიათის შენიშვნის სახით, აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას მთავრობის განკარგულებაზე მითითება ან მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **მამუკა მუმლაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა მამუკა მუმლაძემ აღნიშნა, რომ მსგავსად №17-47 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებისა, წარმოდგენილი პროექტის დანართი №2-ში განისაზღვრა ქუჩები და ავტობუსის გაჩერების ის მისამართები სადაც უნდა განხორციელდეს M_2 კატეგორიის მარშრუტებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება მგზავრობის სატრანსპორტო მომსახურების მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა ასევე, აღნიშნა, რომ დადგენილების პირველი მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით (კერძოდ, დანართი ხდება დანართი №1), აგრეთვე დადგენილებას ემატება შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1. დამტკიცდეს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დანართი №2-ს შესაბამისად ქუჩები და მათზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) გაჩერების ადგილები.“.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ტექნიკური ხასიათის შენიშვნის სახით, აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას მთავრობის განკარგულებაზე მითითება ან მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილება არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს. ამასთან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება, ასევე არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და

გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების რეგულირების საგანს, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ დაგეგმილი რეორგანიზაციის ფარგლებში ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) კუთხით მომუშავე შესაბამისი სამსახურების ცენტრალიზება ერთ ა(ა)იპ-ში.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც მუშაობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, მერიაში, გამგეობასა თუ სსიპ-ში, ფიზიკურად არ იცვლიან თავის სამუშაო ადგილს, არამედ, მხოლოდ სტრუქტურულად დაექვემდებარებიან ხსენებულ ა(ა)იპ-ის.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, სულ რამდენი საშტატო ერთეულით განისაზღვრება ა(ა)იპ-ის რიცხოვნობა.

მომხსენებელმა აღნიშნულ კითხვას უპასუხა და განმარტა, რომ დაახლოებით 50-მდე პირი იქნება დასაქმებული. თუმცა, ბატონმა სერგომ ზუსტი რიცხვის დასახელებისგან თავი შეიკავა, რადგან მისი თქმით, აღნიშნული საკითხი მთავრობის აქტით დარეგულირდება, მას შემდეგ, რაც თანხმობას მიიღებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ა(ა)იპ-ის დაფუძნებაზე.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ სააგენტოს დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მთავრობის სახით, რომელიც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს ხელმძღვანელს, ამტკიცებს და ცვლილებები შეაქვს სააგენტოს წესდებაში, იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს საქმიანობის შეწყვეტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე და ა.შ. ხოლო, სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული მისი საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ იცვლება სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოში დღეს არსებული სამსახურებისა (სამი) და განყოფილებების (შვიდი) რაოდენობა რჩება უცვლელი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სააგენტოს სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: ადმინისტრაციული სამსახური, ქონების მართვის სამსახური, იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახური. სამსახურების შემადგენლობაში შედის: ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება, მომსახურების განყოფილება, სანებართვო განყოფილება, ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილება, ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის განყოფილება, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, საინვესტიციო პროექტებისა და მონიტორინგის განყოფილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თინათინ კასრაძე**